წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 27

ქ. წალკა; 26.08.2025 წ.

*სხდომას თავმჯდომარეობდა:* წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

*ირაკლი გიგინეიშვილი*

*სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:*

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

**სხდომა დაიწყო: 10:30 საათზე;**
**სხდომა დასრულდა: 10:45 საათზე;**

*დღის წესრიგი:*

განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების (ს.კ. #85.21.23.427) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

*სხდომამ განიხილა:*

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების (ს.კ. #85.21.23.427) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებს და საკრებულოს ფრაქციებს, შემჭიდროებულ ვადებში განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 27 აგვისტოს საკრებულოს სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

*საკრებულოს თავმჯდომარე* *ი.გიგინეიშვილი*